№ 271
ხუთშაბათი, 22 დეკემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 271
ხუთშაბათი, 22 დეკემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**თავადი კონსტანტინე დავითის ძე წულუკიძე** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულისა მეუღლისა მისისა **კნეინა სოფიო ალმასხანის ასულისა** დანიშნულია ოც-და-რვას ამა დეკემბერს, წმ. გიორგის ეკლესიაში, დაბა ხონში.

(2—119—1)

**„ივერია“**
გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 22 დეკემბერი

—

იაპონიის ძლევა მოსილი მხედრობა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ჩინეთის სატახტო ქალაქს. აქამდე, სადაც-კი ჰქონდათ შებრძოლება ჩინეთისა და იაპონიის ხმელეთისა, თუ ზღვის ჯარს, ყველგან იაპონელნი იქმნენ გამარჯვებულნი. გუშინდელი დეპეშა გვაუწყებს, რომ ჩინეთის მბრძანებელს უმთავრესი სარდლები თვისის მხედრობისა დაუცვლია და ახალის სარდლისათვის ჩაუბარებია მთელი სამხედრო ძლიერება დიდის იმპერიისა.

ჩინეთის მთავრობა, უთუოდ ჰფიქრობს, რომ მიზეზი ასეთის საოცარის დამარცხებისა არის ჩინელის სარდლების უნიჭობა, და ამიტომ სცვლის მხედრობის წინამძღოლთ.

მაგრამ ჭეშმარიტი მიზეზი იაპონიის პატარა სამეფოს გამარჯვებისა უზარმაზარ ჩინეთის სახელმწიფოზედ იაპონიისა და ჩინეთის სარდლების , განსხვავებული ნიჭი და უნიჭობა არ არის. აქ პირველი და უმთავრესი საფუძველი ასეთის საკვირველის ამბისა ის გარემოებაა, რომ იაპონია ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში განვითარდა ყოველს სფერაში,—შინაგან დ გარეგან ცხოვრებით ევროპას დაემსგავსა, მიენიჭა ხალხს ნამდვილი თავისუფალი დაწესებულებანი: პარლამენტი, თავისუფალი სტამბა, თავისუფალი ყრილობა, თავისუფალი სკოლა და ათასი ისეთი რამ, რომელიც აძლევს ერს ნამდვილს სიცოცხლის ღონეს და სიმკვირცხლეს. ოც-და-ათის წლის წინად ამ ახალს ცხოვრებას, ევროპიდან შეტანილს იაპონიაში, თითონ ახალგაზდა მიკადო დაუდგა სათავეში და მას აქეთ არც ერთხელ ეს გენიოსი კაცი არ შემდგარა, არამედ მხნედ და შეგნებულად მიისწრაფებოდა წინ ჭეშმარიტის სანათით, რათა გამოეყვანა თავისი ერი დიდებისა და ბედნიერების გზაზედ.

როგორც ვხედავთ, ნაყოფი ამ დაუცხრომელის მეცადინეობისა იაპონიამ კიდეც იგემა და დღეს მოწამე ვართ წარმოუდგენელის ჭიდილისა პაწია, იაპონიასა და უზარმაზა ჩინეთს შორის, სადაც ეს ერთი ნამცეცი ქვეყანა ძლევა მოსილი გამოდის ბრძოლიდან.

იქნება არასოდეს ასე ნათლად არ დამტკიცებულა ის კანონი, რომ სივრცე სახელმწიფოსი და რიცხვი მცხოვრებთა თავისს თავად არ შეიცავს კიდევ გონებრივსა და ნივთიერს ძალას. ჩვენს დროში, როდესაც ყველაფერი ცოდნაზეა დამოკიდებული,—ყველაფრით და ყოველის მხრით ის არის უძლიერესი, ვინც მეტი იცის. ამიტომ იაპონიას, აღჭურვილს პოლიტიკურის თავისუფლებითა და ყოველ გვარის ცოდნით, რომელსაც-კი იძლევა ახლანდელი მეცნიერება, რჩება გამარჯვება ბრძოლაში ბევრად უძლიერეს მტერთან. მაშინ, როდესაც იაპონია გაცხარებულად ეწაფებოდა ევროპის განათლებას და ამკვიდრებდა თავისს ქვეყანაში ერის თავისუფალს ცხოვრებას, იწვევდა ნამდვილს ღონეს ქვეყნისას განვითარებისა და განათლების ასპარეზზედ, ამ დროს ჩინეთი საღათას ძილში იყო ჩავარდნილი და დაბრმავებული თვისის სახელმწიფოს სივრცითა და მკვიდრთა სიმრავლითა, პირველის შეტაკებისათანავე მტერთან დაინგრა, როგორც სუსტი თიხის შენობა.

ჩინეთი დიდი ხანია, რაც ჩაიკეტა თავისსავე ქვეყანაში და ევროპიდგან არა უნდა-რა შეიტანოს. მართალია, ოდესმე იგი დიდი განვითარებული სახელმწიფო ყოფილა, სადაც ხელოვნება, მრეწველობა და სიმდიდრე ერისა უმაღლესს ხარისხზედ იყო თურმე ასული, მაგრამ ეს დრო წავიდა და ადრინდელის დიდებისაგან დღეს ჩინეთს მხოლოდ სიდიდე და მცხოვრებთა რაოდენობის რიცხვი და დარჩენია. სახელმწიფო საფუძველი, რომელზედაც უნდა იყოს აგებული ხალხის ძლიერება, დიდი ხანია, შერყეეული აქვს ჩინეთს, რადგანაც ყოველი ის, რაც-კი სინათლესა და სხივს ჰფენს ერის ცხოვრებას განდევნილია, ამ უმეცრების წყვდიადით მოცულს სახელმწიფოში.

იქ, სადაც მხოლოდ ერთი ნაწილი ერისა არის მიწვეული ქვეყნის მმართველად და ჭირისუფლად, როგორც ჩინეთში არიან მიწვეულნი მანდარინები,—ცხადია ქვეყანას არავითარი საკეთე არ დაეყრება, და წესი შთამომავლობითის უპირატესობისა ერთის წოდებისა დანარჩენ სხვა წოდებაზედ, ხალხს ბედნიერებას და თავისუფლებას ვერ მიანიჭებს.

ევროპამ აგერ ასი წელიწადია, რაც შეიგნო ეს და ამიტომ იმისი წარმატება ყოველს სფერაში მარჯვედ მიდის. ევროპაში დღეს წოდებრივ საქმეს დიდი მნიშ-

# ფელეტონი

## წყალი უებარი წამალია

(წერილი მესამე *)

წინაზედ მოგახსენეთ, რომ წყალი, ვითარცა წამალი, იხმარების შვიდის სხვა-და-სხვა ნაირის წესით: ა) კომპრესი, ბ) ვანნა, გ) ორთქლი, ანუ ოშხივარი, დ) წყალის დასხმა, ე) სველი ტილო, ვ) შეხვევა სველ ტილოში და ზ) წყალი, როგორც სასმელი. მოგახსენებთ ახლა თვითეულ საშუალებაზედ ცალკე.

### ა) კომპრესი

კომპრესი იქმნების ოთხნაირი: 1. ზემო-კომპრესი, 2. ქვემო-კომპრესი, 3. ზემო და ქვემო კომპრესი ერთად ხმარებული, და 4. მუცელზედ სახარებელი კომპრესი.

#### 1. ზემო კომპრესი

აიღეთ დიდი ნაჭერი სულ უბრალო ტილოსი, დაკეცეთ 3, 4, 5, 8, 10-ჯერ ისე, რომ ყელიდამ დაწყებული დაჰფაროს გულის ფიცარი და მთლად მუცელი. ამ ნაირად დაკეცილი ტილო დაასველეთ ცივს წყალში (ზამთარში შეიძლება თბილს წყალშიაც), მაგრა გაწურეთ და შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, ისე დაადეთ ავადმყოფს, რომელიც უნდა ლოგინში იწვეს. სველ ტილოს ზემოდამ გადააფარეთ იმოდენავე სრულებით მშრალი ტილო ანუ თბილი საბანი, რომ ჰაერი აღარა ჰხვდებოდეს ტანს. ზემოდამაც ერთი თბილი და დიდი საბანი დაჰხურეთ და გვერდებიდამ კარგად ამოუგეთ. კარგია ყველაზედ თბილი რამ მოახვიოთ, რომ ჰაერი არსაიდამ არ შეჲიოდეს. ერთის სიტყვით, კომპრესის დადების შემდეგ ავადმყოფს უნდა კარგად დაჰხუროთ ყოველ მხრიდამ, თორემ ადვილად გაცივდება და უფრო ავად გახდება.

კომპრესი უნდა იყოს ტანზედ 40 წამიდამ მოკიდებული ვიდრე ერთ საათამდე. თუ საჭიროა, შეიძლება ტილო კვლავ დასველდეს, გაიწუროს და კვლავ დაედოს აღნიშნულის წესრიგით. რაკი დანიშნული დრო გავა, ავადმყოფმა უნდა მსწრაფლ მოიშოროს სველი ტილო, ტანი ჩაიცვას და ისეირნოს ოთახში. თუ ვერა დგება, იწვეს, მხოლოდ თბილად დაჰხურეთ.

ზემო-კომპრესის სიკეთე ის არის, რომ მის საშუალებით კუჭი და ნაწლევები განთავისუფლდება გაზებისაგან.

კომპრესის ხმარება საზოგადოდ ითხოვს, რომ სხეული თბილი იყოს.

#### 2. ქვემო კომპრესი

უკეთუ ქვემო და ზემო კომპრესები ერთი მეორის შემდეგ იხმარებიან, მაშინ ჯერ უნდა იხმაროთ ქვემო კომპრესი და შემდეგ—ზემო. ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, ვინაიდგან ქვემო კომპრესიც ქვეშაგებში უნდა დაედოს სნეულს, კარგია ქვეშ საბანი გაუშალოთ, რომ ზეწარი და ლეიბი არ დასველდეს. ქვემო კომპრესისთვისაც აიღებთ ისეთს ტილოს, რომ ორჯელ, სამჯერ დაიკეცოს და გასწვდეს ავადმყოფს მთლად ზურგზედ, კისრიდამ დაწყებული, ვიდრე წელამდე ანუ ზურგის ძირამდე. აქაც ტილოს დაასველებთ, შემდეგ გასწურავთ კარგად და ზედ დააწვენთ ავადმყოფს. ქვეშ გაშლილ საბანს გადაჰხურავთ, ზემოდამაც კარგად, თბილად დაჰხურავთ, რომ ჰაერი არსაიდამ შადიოდეს. ქვემო კომპრესიც უნდა ედოს 45 წუთი და თუ საჭიროა დიდხანს იყოს კომპრესი, აქაც, როგორც ზევით, კვლავ უნდა დასველდეს ტილო, გაიწუროს და კვლავ დაედოს. შემდეგ ქვემო კომპრესისა ავადმყოფი ისევე უნდა მოიქცეს, როგორც ზემო კომპრესის შემდეგ, ესე იგი ან იაროს ოთახში, ანუ თბილად იწვეს ლოგინში.

ქვემო კომპრესი მისწრება—წამალია, როდესაც კაცს უნდა გაამაგროს ზურგის ძვალი, ანუ ხერხემალი, ხერხემლის ტვინი, აგრეთვე ხერხემლის ტკივილების დროს, წელის ტკივილში. მე ვიცი ისეთი შემთხვევები, ამბობს კნეიპპი, როდესაც კაცს წელის ტკივილები დაჰკარგვია ორჯელ ქვემო კომპრესის გაკეთების შემდეგო. აგრეთვე კარგად მოქმედობს ქვემო კომპრესი, როდესაც სხეულში სისხლია შეგუბებული და კარგად არ მოძრაობს ციებ-ცხელების დროს.

სახელდობრ, როდის და ვითარ უნდა იხმარებოდეს კომპრესი, ამას მოგახსენებთ ავადმყოფობათა აღწერის დროს.

#### 3. ქვემო და ზემო კომპრესი ერთ დროს.

არა თუ ცალკ-ცალკე შეიძლება აღნიშნული კომპრესები აღნიშნულისავე წესით ერთ დროსაც იხმაროთ, მხოლოდ აქ უფრო მეტი სიფრთხილე გმართებთ, რომ არ გაცივდეთ. რა დაიდოთ კომპრესები, კარგად, ძალიან კარგად გაეხვიეთ თბილ საბნებში, რომ გვერდებიდამ, ანუ სხვა ადგილიდამ ცივი ჰაერი არა გცემდეთ.

შეერთებული ესე კომპრესიც უნდა დარჩეს ტანზედ არ უმცირეს 45 წუთისა და არა უმეტეს ერთის საათისა. ეს საშუალებაც ჩინებულია დიდის სიცხის გამოსატანად, სისხლის მოწოლის დროს, როდესაც გვამში ბევრი გაზებია მოგროვილი, იპოხონდრიის ჟამს და სხვა.

აღნიშნულნი საშუალებანი არ მოითხოვენ დიდ ხარჯს, მხოლოდ საჭიროა კაცი მცონარა არ იყოს და ირწმუნოს გამოცდილის კაცის დარიგება.

#### 4. მუცლის კომპრესი.

ავადმყოფი წევს ლოგინში. ოთხად ან ექვსად დაკეცილი ტილო დაასველეთ წყალში, კარგად გაწურეთ, რომ წვეთები აღარ გასდიოდეს და დაადეთ მუცელზედ, იქ, სადაც მოთავსებულია კუჭი და ცოტა ქვემოთაც. ეს კომპრესი შეიძლება დარჩეს ტანზედ 45 წუთიდამ ვიდრე 2 საათამდე. უკეთუ ორ საათს გასტანს, მაშინ საჭიროა ერთის საათის შემდეგ ტილო კვლავ დასველდეს, გაიწუროს და კვლავ დაედოს.

ამ კომპრესს მშვენიერი შედეგი აქვს კუჭის ტკივილების დროს და საზოგადოდ მაშინ, როდესაც გვინდა მოვაშოროთ მომატებულად მოწოლილი სისხლი მკერდსა და გულს.

ხშირად ტილოს დასასველებლად ნაცვლად წყალისა იხმარების ძმარი.

მრავალჯერ უკითხავთ კნეიპპისათვის, რა აზრისაა ის ყინულის კომპრესების შესახებ, სისხლის გამოშვებაზედ და სხვა.

ყინულის კომპრესები, როდესაც მეტადრე მას ვადებთ ისეთს სათუთ ასოებზედ, როგორც თავი, თვალები, ყურები და სხვა, მე მიმაჩნია ერთობ სასტიკ საშუალებათ. წარმოიდგინეთ, ცალ მხრივ თონესავით გახურებული ტანი, ჯოჯოხეთებრივი სიცხე სხეულში და გარედამ ყინული და მათ შუა სნეული სათუთი ავათმყოფი ასო. განა რომ წარმოსადგენადაც-კი ძნელია, რაფერ უნდა დაიტანჯოს ავადმყოფი ასო! ჩემს პრაქტიკაში ძალიან იშვიათად მიხმარია ყინული, და არც ერთხელ სასურველი შედეგი არც მოჰყოლია. მე ვიცნობდი ერთს კაცსაო, რომელიც ექიმების რჩევით მთელის წლის განმავლობაში გამუდმებით ფეხზედ ყინულის კომპრესს ატარებდა. სწორედ

*) პირველი წერილები იხ. №№ 245 და 255.

ვნელობა როდი-და აქვს. იქ ახლა ეკონომიურს ასპარეზზეა გადასული ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის, და სიბრძნე თითოეულის ევროპის ერისა იმითი გაიზომება, თუ როგორს სამართლიანს კავშირს დაარსებენ წარმოებისათვის ამ ორ უმთავრესს ღონეს შუა.

ჩინეთს ჯერ ბევრი დრო დასჭირდება კიდევ, რომ გამოირკვეს ძილისგან, და იაპონია, რასაკვირველია, დიდს მეგობრობას უწევს თავისს დიდს მეზობელს, რომ ასე საგულისხმოდ დაუფრთხო მოსვენება.

თითო ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, ნამდვილად ჩინეთზედ ითქმის ეს. თუ არც ახლა ისარგებლა ამ სახელმწიფომ იაპონიის მაგალითით, რომელიც განათლებისა და თავისუფალის წესების წყალობით ასე თვალ-საჩინოდ სჯობნის დიდს იმპერიას, მაშინ ჩინეთის გამობრუნების იმედი, რასაკვირველია, აღარ იქნება.

ჩვენს დროში დამარცხებამ საკვირვლად გამოაფხიზლა სამი დიდი სახელმწიფო. რუსეთი—ყირიმის ომმა, ავსტრია—სადოვამ და საფრანგეთი—სედანმა და მეცმა.

მოსალოდნელია, რომ ჩინეთისათვისაც ასეთ ჭკუის სასწავლებელ მაგალითად შეიქნება იაპონიისაგან ზედიზედ დამარცხება, ხმელეთსა და ზღვაზედ.

აქ სარდლების შეცვლა-გამოცვლა ვერას უშველის დაუძლურებელს სახელმწიფოს; აქ საჭიროა არა რომელიმე კერძო ცვლილება, ერის ცხოვრებაში შეტანილი მისდა აღსადგენად, არამედ საჭიროა ერთიანად გადახალისება მთელის სახელმწიფოს წეს-წყობილებისა. მხოლოდ ამ გვარის ძირითადის ცვლილების შემდეგ არის შესაძლებელი დადგეს ჩინეთისთვისაც დიდებისა და ბედნიერების ხანა, რომლის უფლებაც აქვს ყოველს ერს. ამასთან ჩინეთს ამ ბედნიერისა და დიდების მისაღწევად საშუალებაც შესწევს, რადგან იგი თავისუფალი ქვეყანაა და ერის ნორმალურს განვითარებას იქ გარეშე მიზეზი ვერ შეაფერხებს.

მეველე

# ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრის დარბაზის შეკეთება დღესასწაულებისათვის დასრულდება და ქართულ წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა შობის მეორე დღეს გამართავს პირველ წარმოდგენას.

*** ამ დღეებში ტფილისში ვარშავიდგან ჩამოვიდნენ კონდრ ის კაცები ცოლ-ქმარი, თავისის შვილებით, რომლებიც ამ დღეებში წარმოდგენებს გამართავენ.

*** გაზ. „ტფილ. ლისტ.“ სიტყვით, ქ. ასხაბადში გამოვა ახალი გაზეთი, რომელსაც ეწოდება „Закаспійское Обозрѣніе“. გაზეთი რუსების ინტერესებს ემსახურება“.

*** გაზ. „რუსკ. ჟიზ.“-ის სიტყვით, ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, გიორგი თუმანიშვილმა თავისი მოხსენება წარუდგინა საერო დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

*** ცხინვალი. 22-ს ნოემბერს ქსნის ხეობის ს. მონასტრიდან კორრესპონდენცია იყო დაბეჭდილი „ივერიაში“, სადაც მოთხრობილია, რომ იქაურ მედუქნეს 8 შეიარაღებული ოსი დაეცა და რაც-კი რამ იყო დუქანში, ქურდებმა წაიღესო. ამ ამბავს ყურადღება მიაქცია ჩვენმა ბოქაულმა ბ-ნმა გუგუშვილმა და თვალს ადევნებდა იმ ქურდების კვალს. ამ ოთხის დღის წინად ბ-ნ გუგუშვილს ამბავი მოუვიდა, რომ ის ოსები ცხინვალის ხეობაში გადმოსულან. მაშინვე იქ გაჰგზავნა ბ-ნმა ბოქაულმა მთელი კომანდა და ადგილობრივი მამასახლისი ბ-ნი ნოზაძე. ამათ იპოვნეს იქ მთელი ცხენის საპალნე მოპარული საქონელი და იქვე შეიპყრეს 6 კაცი.

## ნაწყვეტები

რაც შენ წასულ, მზეო ჩემო,
გულს ობლობის ცრემლი სდისა,
დამარტოვდა სულიც მწუხრად,
ფერი მაქვს ცოცხალ-მკვდრისა;
ნუღა მომკლავ შენს ლოდინში,
შეუპყრივარ ათას ჭირსა:
სულიც, გულიც, ჭკუა გონებაც,—
ყველა ერთად შენთვის სტირსა.

დ. მაჩხანელი.

## კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება

გუშინ-წინ, 20 დეკემბერს, მომხდარს კრებაზედ, რომელიც დაიწყეს ღამის 8 საათზედ, გარჩეულ იქმნა მოხსენება ი. ი. ლისნევსკის „ტყის დაცვის კანონის კავკასიაში შემოღების გამო“ და მოხსენება ა. ა. ქალანთარისა „საბუნების-მეტყველო და სამეცნიერო კრებათა წესდების შემუშავების“ შესახებ. სხვათა შორის ამოირჩიეს საფილოქსერო კომიტეტის წარმომადგენელნიც.

ბ-ნმა ლისნევსკიმ თავისს მოხსენებაში განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტყეს ევროპის რუსეთში და კერძოდ ჩვენში, კავკასიაში. ტყეო, სთქვა ლისნევსკიმ, მრავალგვარს სამსახურს უწევს ადამიანს, მაგ., როგორც მუდამ ჟამს სახმარებელი ნივთიერება, ის საჭირო იყო და დღესაც არის ჩვენთვისაო. ტყეზედ არის დამოკიდებული სიმრავლე მდინარეებისა და იმათი, სიუხვე, რადგანაც ტყე მუდამ ინახავს სისველეს, რომლიდგანაც წყაროები, პატარა და ბოლოს კარგა მოზრდილი მდინარეებიც შესდგება ხოლმეო. ტყე ხშირად იფარავს მდინარეებისა და ზღვის პირზედ მდებარე მამულებს და სავალს გზებს სხ.-და-სხ. მავნე ბუნების მოვლენისაგან, როგორც მმოძრავ ქვიშისა, მიწისა და სხ. ზვავისაგანაო. გარდა ამისა, ტყეს სხვა ყოვლად დიდი მნიშვნელობაცა აქვს; რიგზედ შენახულს ტყეს უთუოდ დიდი გავლენა აქვს სხ. და სხ. ბუნების მოვლენაზედ, როგორც წვიმის მოსვლისა, გვალვისა, და თვით ადამიანის ჯანმრთელობაზედაც. დაუხატა რა ბ-ნმა ლისნევსკიმ ეს კრებას, მოაგონა, რომ საჭირო არის, როგორც ეს რუსეთშია მიღებული, აქაც შემოღებულ იქმნას ტყის დაცვის კანონი შესაფერის ცვლილებით, თანახმად ადგილობრივის პირობებისა, ე. ი. მან სთქვა, რომ დაცული უნდა იქმნას როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო ტყე, თუ კი ამ ტყეს რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოდ ხალხისათვისო; იმ შემთხვევაში, თუ კერძო კაცს არ შეუძლიან ამისი მოხერხება, თითონ სახელმწიფო კისრულობს და პატრონი კიდევ ამაზედ დახარჯულს ფულს მერე წვრილ-წვრილად იხდის.

დიდხანს არ შესწყდა კამათი იმის შესახებ, თუ რომელს ტყეს უნდა დაერქვას სახელი „დაცულ ტყისა“; მხოლოდ ნაწილს, თუ საზოგადოდ მთელს, ანუ რამდენსამეს ერთად, ე. ი. სადაც-კი ტყეაო. ამის შესახებ ის აზრი იყო წარმოთქმული, რომ საზოგადოდ ყველა ტყე, სახელმწიფო იქმნება იგი, თუ კერძო კაცისა, მხოლოდ მთელი ტყე-კი არ იქმნება ცნობილი, „დაცულ“ ტყედ,—მაგ., თუ ეს ტყე მთის ძირში, ან გზის პირად არის, არამედ ერთი ლიანდაგი 30-ისა, 40 საჟენის სიგანეზედ. დანარჩენის ტყის რიგითა და წესით ხმარება-სარგებლობა კი ყველას შეუძლიან. ამის შესახებ დიდად საყურადღებო იყო სიტყვა ბ-ნ ხატისოვისა, რომელმაც დასძინა, რომ მუდმივი საჩივრები და ტყის საქმის წარმოებაში გაუგებრობა სწორედ იმისაგან წარმოსდგება, რომ ვიღაც უვიცი ტყის მცველი მივა და მთელს ტყეს შეუკრავს ხოლმე მცხოვრებლებსაო. ამიტომ საჭიროა გამორკვეული იყოს, რომელი ტყე და როგორ იქმნება დაცულიო...

კრებამ, რადგანაც წევრთა უმრავლესობა არ იყო კარგად დაკვირვებული ამ საქმეში, გარდასწყვიტა, რომ ეს თავისი აზრი ტყის დაცვის კანონის შესახებ მხოლოდ მაშინ წარედგინოს სამინისტროს, როცა ამ საქმეს ჯერ რამდენიმე კაცი გამოარკვევს კარგად და ხელ-მეორედ იქნება შემდგარი კრებაო. ამიტომ გადასწყვიტეს, შესდგეს კომისია, რომელსაც მიენდოს გასინჯვა და ამ საქმის შესახებ მოსაზრების შედგენა. შემდეგ კრება გაარჩევს, როგორ და რა ცვლილებით უნდა იყოს შემოღებული ეს „ტყის დაცვის კანონი“.

კომისიის წევრებად იქმნენ ამორჩეულნი: ი. ზ. ანდრონიკაშვილი მ. ყიფიანი, ა. ი. ბაქრაძე. ბ-ნი კამენეცკი და ლ. ა. ზაგტრეგერი.

---

რომ საკვირველება, სასწაულთ-მოქმედება იქნებოდა, რომ ყინულს არ გამოეწოვა სულ მთლად სითბო არა თუ მარტო ავადმყოფობისა, არამედ ბუნებრივიც! განკურნება-კი არსად იყო.

ვიცი მეტყვიანო, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ყინული ჰშველის. შესაძლოა, რომ ზოგჯერ მართლაც განკურნოს სნეული, ხოლო რამდენი მსხვერპლიც მოსდევს! რამდენი მოსულა ჩემთან უსინათლო, ყურთასმენას მოკლებული, გამუდმებულს თავის ტკივილს დაჩემებული და სხვა სულ იმავე ყინულის მეოხებით. დიახ, ძალიან საფრთხილოა ყინულის ხმარება!

წყალი და სხვა არაფერი! წყალი აქრობს ცეცხლს და უკეთუ წყალმა ვერ შესძლო, ვეღარც ყინული გააქრობს!

არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სისხლი ბლომად მოაწვება, მაგალითებრ, თავს; ჰბადავს ისეთს სიცხეს, რომ მას ვერც ცივი წყალი, ვერც მთელი ოკეანე ყინულისა ვეღარ გაანელებს. ასეთ შემთხვევაში მე მტერს სხვა გზიდამ მივეპარები ხოლმეო. მე ვიწყებ ფეხებიდამ, ვცდილობ ფეხის კომპრესებით და შემდეგ ტანის კომპრესებით სისხლი, მიწოლილი თავში, ქვედა ტანისკენ წამოვიყვანო.

ყინულს კნეიპპიც ხმარობს, მხოლოდ მოსარჩენად კი არა, ზაფხულში წყლის გასაცივებლად.

რა აზრისაა კნეიპპი სისხლის გამოშვებაზედ და წურბელის მოკიდებაზედ?

კნეიპპი ბეჯითად ამტკიცებს, რომ სისხლის გამოშვება, კოტოში, წურბელა და სხვა ამისთანები არის მხოლოდ ნაყოფი მტკნარის უმეცრების და უვიცობისა. აკი, მადლობა ღმერთს, რაც დრო გადის, რაც ცრუ მორწმუნეობას და რეგვნობას ბოლო ელება, აღარც სისხლს იშვებენ და აღარც წურბელას ხმარობენ.

სისხლი არის ის ცხოველ-მყოფელი ძალა, რომელზედაც თვით სიცოცხლეა დამოკიდებული. არ არის სისხლი,—განქრა სიცოცხლეც. მაშ ის, ვინც სისხლს იშვებს ანუ სხვაფრივ ჰკარგავს, ჰკარგავს მასთან სიცოცხლესაც. რამდენად მეტი სისხლი დაჰკარგეთ, იმდენად შეიმოკლეთ სიცოცხლეც.

ბევრი იფიქრებს: რა უშავს, რომ სისხლი დააკლდება კაცს, ნაკლი მალე ისევ შეივსება. ახალი სისხლი გაკეთდება მიღებულის სასმელ-საჭმლისაგანაო.

მართალია, ძალიან მალე მზადდება ახალი სისხლი, ხოლო არ რას მოგახსენებთ ამაზედ. ყოველმა გლეხმა იცის, რომ ვისაც უნდა ერთბაშად მალე გაასუქოს საქონელი, ის გამოუშვებს სისხლს, ცოტასაც არა, ბევრს და შემდეგ მიუმარჯვებს საჭმელს. ამის შემდეგ მალე ცხოველის ტანში ჩადგება სისხლი ბლომად და ძალიან გასუქდება. 3 ან 4 კვირის შემდეგ კვლავ უშვებენ სისხლს და კვლავ საჭმელს უმარჯვებენ. პირუტყვი სწრაფად ივსება სიმსუქნით და სისხლით. ხოლო აბა დავუკვირდეთ ამ სისხლს. ეს ხელოვნურად და არა ბუნებრივად მომატებული სისხლი წყალგვარია, უგემური და უსიცოცხლო. ასეთს ცხოველს აღარა აქვს აღარც ღონე, აღარც ჩარა მუშაობისა და თუ მალე არ დაჰკალით, წყალმანკი გაუჩნდება.

განა კაცსაც ეს არ ემართება? საუბედუროდ, სისხლის დაკარგვა მოქმედობს ცუდად არა თუ მაზედ, ვინც მას იშვებს, არამედ შთამომავლობაზედაც, და აწინდელი სისხლის სიმცირე (малокровіе) ცოტად თუ ბევრად აიხსნება იმითიც, რომ ჩვენნი წინაპარნი ერთობ ხშირად იშვებდნენ სისხლს და კოტოშ-წურბელას ჰხმარობდნენ.

ბ) ვანნები

1. ფეხის ვანნა

ფეხის ვანნა იქმნების ცივი და თბილი.

1. ფეხის ცივი ვანნა

იმას ჰქვიან, რომ ჩასდგება კაცი ცივს წყალში კუნთებამდის ანუ ცოტა ზემოთ 1 წუთიდამ ვიდრე 3-მდე.

ავადმყოფთათვის ფეხის ცივ ვანნას ანუ აუზს ის მნიშვნელობა აქვს, რომ სისხლი ზედა ტანიდამ წავა ფეხებისკენ.

საღი კაცი თუ იხმარს ფეხის ცივს ვანნას, უფრო გაიმაგრებს სხეულს. მეტადრე კარგია ასეთი ვანნები ზაფხულში გლეხკაცთათვის. ფეხის ვანნა შეასვენებს კაცს, დაამშვიდებს, დააწყნარებს და კარგად დააძინებს.

2. ფეხის თბილი ვანნა

იხმარების სხვა-და-სხვა ნაირად.

ა) გაათბეთ წყალი ესე 25—20 გრადუსამდინ რეომიურის ტერმომეტრით, ჩაყარეთ შიგ ერთი მუჭა მარილი და ორი მუჭა უბრალო ნაცარი. აურიეთ კარგათ და ჩაყავით შიგ ფეხები და იყავით ასე 12—15 წუთს. ფეხების თბილი ვანნა კარგად მოქმედობს მაშინ, როდესაც სისუსტისა და ავადმყოფობისა გამო სხეული მოდუნებულია, ცივს წყალს ვერ იტანს. ამ დროს ცივს წყალს არა აქვს ძალა გამოიწვიოს ბლომად სითბო.

საკუთრივ ფეხის ვანები კარგია იმისთანა პირთათვის, რომელნიც ჰგრძნობენ სისუსტეს, სისხლის ნაკლებობას, ნერვებით ავადმყოფთათვის, ჩჩვილთათვის და მოხუცთათვის, უფროკი მანდილოსნებისთვის და აქვს ის გავლენა, რომ შემდგარს სადმე სხეულში სისხლს აძლევს ჩვეულებრივ მიმდინარეობას; კარგია აგრეთვე თავის ტკივილისთვის, ყელის ტკივილისთვის, დახუთულებისთვის და სხვა.

ეს ვანნები იზიდავენ სისხლს ფეხებისკენ და ტკივილებს აყუჩებენ.

კნეიპპი არ ურჩევს ასეთ ვანნებს მხოლოდ მათ, ვინც ფეხის ოფლი იცის ხშირად.

ბ) მეტადრე სასარგებლოა ფეხის თბილი ვანნა, მომზადებული თივის ნაფშვნეტის (труха) ანუ თივის ნახარშისაგან.

აიღეთ 3 ან 5 მუჭა თივის ნაფშვნეტისა, დაასხით ადუღებული წყალი და დაჰხურეთ რამე, რომ ცოტა განელდეს (ესე 25—26 გრადუსამდე). შემდეგ მიიღეთ ეს ვანნა ზემოთ აღნიშნულის წესით.

ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სულ ერთია, თივის ნაფშვნეტს ამოიღებთ ვანნიდამ თუ შიგ იქნება.

ასეთი ვანნა სასარგებლოა ფეხის სხვა-და-სხვა გვარის სატკივრებისთვის, როგორც, მაგალითებრ: ფეხის ოფლი, ფეხის ჰრილობა, ღრძობა, სიმსივნე ფეხისა, ნიკრისის ქარი (подагра), მუწუკები თითებ შუა და სხვა-და-სხვა.

ერთს კაცს საშინელი ნიკრისის ქარები ჰქონდა: სიმწვავისაგან დიდის ხმით ღრიალებდა. ერთი ასეთი ვანნა მიიღო, შემდეგ ფეხები შეიხვია თივის ნახარშში ამოწურულ ტილოში, და ერთის საათის შემდეგ ტკივილები დაუყუჩდა.

გ) თივის ნახარშივით გავლენა აქვს აგრეთვე შვრიის (овесъ) ნამჯის ნახარშს.

შვრიის ნამჯა უნდა ჰხარშოთ ნახევარ საათს და მერე ეს ნახარში იხმაროთ ვანნათ, რომელშიაც ფეხი უნდა იდგეს 20 ანუ 30 წუთი.

ჩემის გამოცდილებით ვიციო, რომ ასეთი ვანნები სწორედ მისწრებაა მათთვის, ვისაც ფეხის ძვალი სტეხავს, ნიკრისის ქარები აქვს, მაზოლები, ფეხზედ მუწუკები აქვს და ჩირქი სდის, ვისაც ბევრის სიარულისაგან ფეხზედ ბებერები აქვს, ოფლისაგან გამოყლილი აქვს თითები და სხვა მრავალგვარი ფეხის ტკივილები.

ერთმა კაცმა ძირში დაიჭრა მაზოლები. მოუვიდა ფეხის თითების ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებამ ამოირჩია აგრეთვე საფილოქსერო კომიტეტის წარმომადგენელნიც. რიცხვი წარმომადგენელთა უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, ე. ი. 3, რამაც გამოიწვია ახალი კამათი, რომ რაც მეტნი იქნებიან წარმომადგენელნი, მით უკეთესიაო. გარდასწყვიტეს 4 ამოერჩიათ. კენჭის ყრით 2 წლით იქმნენ ამორჩეულნი: ვ. სულხანიშვილი, გ ალიბეგოვი, პ. ყიფიანი და ა. ბ. ევანგულოვი, რომელმაც უარი განაცხადა. ამ რიგად წარმომადგენლებად ისევ სამნი დარჩნენ, მეოთხე-კი შემდეგს კრებაზედ იქნება არჩეული.

დასასრულ ა. ა. ქალანთარმა კრებას წაუკითხა მოკლე წერილი იმის შესახებ, თუ როგორის პროგრამით ხელმძღვანელობენ რუსეთისა, ბრიტანიისა, ავსტრალიისა და ჩრდილოეთ-ამერიკის სამეცნიერო საბუნებისმეტყველო საზოგადოებანი. კრებას ჰმართავენ ერთსა, ორსა და სამს წელიწადში ერთხელ, სადაც სხ. და სხ. მხრიდგან მოსულნი მეცნიერნი წარუდგენენ კრებას თავისს მოხსენებას, ერთმანეთს ეხმარებიან სხ. და სხ. საგნის გამოსაკვლევად. ქალანთარმა დაუმატა, კარგი იქნებოდა, რომ კრება თავისს მოქმედებას ყოველწლიურად ცალკე წიგნებად გამოსცემდესო, რადგანაც ეს უკეთესად გააცნობდა წევრთაც და სხვებსაც ამ კრების მოქმედებასაო. საზოგადოებას აქვს თავისი მართველობაც, რომლის წევრნიც, რიცხვით 5, ირჩევიან დროებით საბჭოსაგან, რომელიც, როგორც კრება დაიშლება, მაშინვე ჰსპობს თავისს მოქმედებას. ეს საგანი ცოტა ვერ იყო კარგად გაგებული კრებაზედ, რის გამოც ქალანთარმა აღუთქვა, უფრო ვრცელს წერილს მოვათავსებთ „კავკასიის სამეურნეო გაზეთშიო". აგრეთვე, დადგენილ იქმნა ლისნევსკის მოხსენებაც, რომ საზოგადოების ყველა წევრს შეეძლოს ამ საგნის დაახლოვებით გაცნობაო.

კრება დაიშალა ღამის $11\frac{1}{2}$ საათზედ.

## რუსეთის ცხოვრება

ტამბოვის გუბერნიის ერობამ ხმის უმეტესობით და წინააღმდეგ თავად წერეთლებისა, გრაფ. ტოლსტოისა და ერობის უფროსის მალევინსკისა, გადასწყვიტა, ხალხში თავისს ღირსების გრძნობის აღსადგენათ, იშუამდგომლოს მთავრობასთან, რათა პირველ დაწყებით სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი სხეულის სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნენ ხოლმეო.

ბარონესა მელლინის მიერ შეწირულის ფულით და იმისავე სახლში არსებობდა ქ. იურიევში ქალების პანსიონი, რომელიც მთელი 20 წელიწადი ქნ მუიშელის გამგეობის ქვეშ იმყოფებოდა და, რომლის სახელითაც იყო ცნობილი. მაგრამ როგორც რუსული ენის სწავლება ყველასათვის და ყოველს სასწავლებელში სავალდებულოდ აღიარეს, პანსიონი მაშინვე დაიკეტა. თანხა-კი ამ პანსიონისა, რომელიც (როგორცა სჩანს 200000 მან. შეადგენდა თურმე) ლიფლიანდიის საზოგადო დამხმარებელს საიმპერატორო საზოგადოებას გადასცეს.

საზოგადოებამ გადასწყვიტა, ეს თანხა, შემომწირველის ანდერძის თანახმად, ისეთს აღმზრდელს დაწესებულებას მოჰხმარდეს, სადაც სწავლება „გასაგები იყოს გერმანიულსავე ენაზედაო", როგორც ეს სთქვა თავისს სიტყვაში ამ საქმის თავში მდგომარე პროფესორმა ა. ეტტინგენმა, როდესაც იურიევში ეს ახალი სასწავლებელი დაარსდა, რომელსაც „რეიხენბერგ-მელლინის ავადმყოფთ მომვლელ ქალთა აღმზრდელი სამკურნალო სასწავლებელი" ეწოდება.

ამ სასწავლებელს მრავალ გვარი დანიშნულება აქვს და ემორჩილება თავისებურს კანონებს, რომლებსაც სასწავლებლისავე კომიტეტი ადგენს.

სამკურნალო მიზნით სწავლება ამ სასწავლებელში გერმანულსავე ენაზეა; მხოლოდ იმ მიზნით-კი, რომლისათვისაც ეს ავადმყოფთ მომვლელნი ქალნი არიან მოწოდებულნი; ისინი სწავლობენ სახალხო სიმღერებს (6 მუხლი). სამკურნალო დაწესებულებას მხოლოდ მომვლელ ქალთა აღზრდა აქვს მიზნად, და არა ავადმყოფთა ექიმობა; სამკურნალო მეცნიერების შეხედულობით ამ საქმეს მეორე ხარისხის მნიშვნელობა აქვს. მაგრამ „დიასახლისს" (როგორც ეძახიან Hausamutter) ამ სასწავლებლისას, შეუძლიან ავადმყოფთა მიღება და იმის გადაწყვეტა, გადამდებია სენი თუ არა (გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან). ამასთან სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დიასახლისს სამკურნალო განათლება არა აქვს მიღებული, რადგანაც ეს დიასახლისი იგივ პანსიონის გამგებელი მუიშელია. უფროსი ავადმყოფთა მომვლელი ქალი (Oberin), რომელიც სამკურნალო განყოფილებას განაგებს, სახალხო სიმღერებსა და სხვ. საგნებს ასწავლის. დირექტორი უსასყიდლოდ ემსახურება ამ პანსიონს (ყველაზედ უპირველეს ქველმოქმედება), მაგრამ ავად-მყოფებისაგან-კი შეუძლიან გონორარის აღება (§ 1). ზოგჯერ მასწავლებელი სასტუმროსაც წააგავს, სადაც ექიმებს ყველა თავისს ავადმყოფების დაწვენა და ექიმობა თავისისავე საკუთარის პირობებით შეუძლიანთ. ამ დაწესებულების სადგომი სხ. და სხ. ექიმების კერძო მისაღებ კაბინეთობასაც-კი სწევს, სადაც ისინი, რამდენიც უნდათ, იმდენს ფულს იღებენ (§ 8).

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსეთის გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ პოლონეთში გენერალ-გუბერნატორად გურკოს მაგიერ გრაფი შუვალოვი დაინიშნა. ამას შესახებ გამოწვეულს საერთო მითქმა-მოთქმაში ბევრი სხვა-და-სხვა აზრი წარმოითქვა, განსაკუთრებული, როგორც შინაარსით, ისევე თავისის მნიშვნელობითაც. აი, სხვათა შორის, გაზ. „Русск. Жизн."-მა რა აზრი წარმოსთქვა: დიდი არაფერი საყურადღებო არისო ის ამბავი, თუ ვინ იქმნება პოლონეთის გენერალ-გუბერნატორად. ვინც უნდა იყოს, მხოლოდ ერთს შემთხვევაში ექმნება მას რაიმე მნიშვნელობა და გავლენაო, ეს იმ შემთხვეში, როდესაც გენერალ-გუბერნატორი წარმოადგენს სასტიკ ადმინისტრატორს, ძალოვან გამგეობას. ამ ნაირი გამგებელი ბევრი ჰყოლია პოლონეთს და რაც გააკეთეს, ხომ ვხედავთო. რაიც შეეხება იმ გამგებელთ, რომელნიც სულ სხვა იარაღით იქმნებიან ძალოვანნი და სასტიკნი — მაგალითად, კულტურისა და განათლებით აღჭურვილნი — ვერც ესენი გააკეთებენ რასმე ახალს, რადგან ამ ნაირ ხალხს ასპარეზი მეტად შეზღუდული აქვთო. ამიტომაც ვამბობთ, რომ სცდებიან ის გაზეთები, ვისაც ჰგონია, რომ რაკი გურკოს მაგიერ გრ. შუვალოვი დაინიშნა — ამითი რაღაც ახალი ხანა და ვითარება დამყარდებაო.

ბოლოს გაზეთი ლაპარაკობს «Нов. Вр.» და «Моск. Вѣд.» ამ საგნის გამო გამოთქმულ აზრების შესახებ. ორივე გაზეთმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ გურკოს გამგეობის დროს პოლონეთი სწორედ რომ ბედნიერი იყოო. თუმცა ორივენი მასაც დასძენენ, კარგი იქმნება პოლონეთშიც შემოვიღოთ ყველა ის კანონი, რომელიც შიდა რუსეთში მოქმედობს — ქალაქებისა და ერობათა მოწყობის შესახებაო. ამითი რუსეთი და პოლონეთი უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთსაო.

რა იქნა «Нов. Вр.» და «Моск. Вѣд.»-ის სხვა ჰანგზედ მღერაო, კითხულობს სამართლიანად «Руск. Жиз.»-ი. რამ აალაპარაკა ეს ორი გაზეთი სხვა კილოთი და სხვა ენით, რა მოხდა, ან რა შეიცვალაო, რა იქნა ის წერილები ამ გაზეთებისა, რომლითაც ამტკიცებდნენ, რომ გენერალ გურკოს წყალობით დაუახლოვდა პოლონეთი რუსეთსაო? ბოლოს გაზ. «Руск. Жизн.»-ი ამასაცა ჰკითხავს სუვორინისა და კატკოვისეულს გაზეთებს: პოლონეთისა და რუსეთის შორის დამოკიდებულება, ვინ უფრო გაამწვავაო.

„ჩვენა გვგონიაო", უპასუხებს „Руск. Жизн."-ი, ამ გაზეთებმა გაამწვავეს და, დაახლოვების ნაცვლად, უფრო დააშორეს ერთმანეთი. ორივე გაზეთი სულ იმის ცდაში იყო, ადგილობრივნი მცხოვრებნი მოთმინებიდგან გამოეყვანათ როგორმე და ადგილობრივი „კორესპონდენტების" ნაწერებით დევნა დაეწყოთ იმათთვის. პოლონეთის მცხოვრებლებს ნდობა დაეკარგათ, რუსეთის ჟურნალ-გაზეთობისა და ამით მოეკვეთა ერთი უტყუარი იარაღი პოლონეთის და რუსეთის დაახლოვებისა. პოლონეთის და რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა ერთმანეთს უფრო ნდობით რომ ეკიდებოდნენ, ამითი მრავალი ეჭვი და უთანხმოება

---

თება. საფიქრებელი იყო, რომ სისხლი მოწამლულიყო და ფეხი მოსაჭრელი გამხდარიყო. ავადმყოფმა იწყო შერივის ნახარშიანი ვანნების მიღება დღეში სამჯერ. შემდეგ ვანნისა იხვევდა ფეხებს კოჭებამდინ იმავე ნახარშში ამოწურულ ტილოში, და ოთხ დღეზედ ფეხი მოურჩა.

ერთს კაცს კიდევ ჩირქი სდიოდა თითებიდამ და ლამის თითები მთლად დასცვივდა. აქაც შიში იყო, რომ სისხლი არ მოწამლულიყო. ფეხის ვანნებმა და ტილოში შეხვევამ, როგორც ზემოდ იყო მოხსენებული, მოკლე დროში განკურნეს სნეული. ყველა ზემოდ მოხსენებულ თბილის ვანნების შემდეგ ფეხი უნდა გადიბანოთ ცივის წყლით.

არ არის საჭირო ცივი წყალი მხოლოდ მაშინ, როდესაც ხმარობთ ასო „ა" ქვეშ მოხსენებულ თბილ ვანნას ნაცარსა და მარილს არეულს. ამ ვანნასა აქვს საგნად, სისხლი ფეხებისკენ ჩაწუროს და იქ ამოძრაოს. ვინც ასეთის ვანნის შემდეგ ცივ წყალს იხმარს, ის სისხლს ფეხებიდამ ისევ ზევით გაისტუმრებს, საიდამაც იმოდენა და იმ საწყაოთი თავისს თავად ქვევით აღარ დაბრუნდება. მაშასადამე, ნაცარსა და მარილ არეულ ვანნას შემდეგ არას გზით ცივი წყალი არ უნდა იხმაროთ.

II ნახევარი ვანნა.

ნახევარი ვანნა რა არის, თვით [illegible] ს. კაცი ჩაჯდება სახელივე ამტკიცებ[illegible]ალი შუა მუცლავანნაში ისე, რომ წყ[illegible] სა[illegible]ალება თავიმდის სწვდებოდეს. ე[illegible]სის გავლენით სხეულზედ შუათანაა სრულს ვანნასა და ფეხის ვანნის შორის. ნახევარი ვანნაც სამგვარია:

1. ჩადგება კაცი ვანნაში ისე, რომ წყალი ცოტათი მუხლებ ზევით მოადგეს.

2. ისე რომ წყალი მეჯებამდე სწვდებოდეს.

3 დაიჩოქებს წყალში, რომ წყალი შუა ტანამდის მოსწვდეს, რასაკვირველია, მხოლოდ ამ მესამე წესს შეჰშვენის სავსებით სახელი «ნახევარი ვანნა».

ნახევარი ვანნა სამივე წესისა იხმარების მხოლოდ ცივის წყლისა და საგნად აქვს სხეულის გამაგრება. ამიტომაც ნახევარი ვანნა კარგია სალი კაცისთვის, რომელსაც უნდა უფრო სალი გახდეს; სუსტთათვის, რომელთაც უნდათ სხეული მოილოვნივრონ და ახლად მორჩენილთათვის. ავადმყოფთათვის ცალკე იქმნება ნათქვამი, თუ როდის და რა ავადმყოფობაში, ვითარ იხმარონ ნახევარი-ვანნა.

ნახევარი ვანნა არ უნდა გაგძელდეს ნახევარიდგან ვიდრე სამ წუთამდე.

1 და 2 ნომრით აღნიშნული ნახევარი-ვანნები ჰრგებენ მეტადრე იმ პირთ, რომელთაც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო დაჰკარგეს მუხლების ძალა და ფეხის კანკალით დადიან. ასეთი გვამნი სრულს ვანნას ვერ იტანენ, იტანჯებიან.

ამ ნახევარ-ვანნებთან რიგ-რიგად უნდა ხელებიც ჩაჰყოთ ხოლმე მხრებამდის ცივს წყალში.

მე-3 ნომრით აღნიშნული ნამდვილი ნახევარი ვანნა დიდი ღვთის წყალობაა ჯანმრთელთათვის. სისუსტე და ათას გვარი ტკივილები მუცლისა, რომელთა მიზეზი არის ხოლმე სიმჩატე სხეულისა და ნებივრული შენახვა, უცბათ ჰქრებიან ნახევარ ვანის წყალობით. იხმარეთ ნახევარვანნები და მალე დარწმუნდებით, რომ შემცირდება რიცხვი ისეთს პირთა, რომელნიც უჩივიან ბუასილს, იპოხონდრიას, ისტერიკას და სხვა სნეულებათ, რომელთა დასაბამი კუჭშია.

ჯანმრთელ გვამთ კნეიპპი ურჩევს დილ-დილით, რა ადგებიან ლოგინიდამ, დაიბანონ სხეულის ზედა-ტანი, ხოლო ნასადილევს ანუ საღამოს ჟამს ნახევარი ვანნა. ვისაც დილით არა სცალიან საბანებლად, მას შეუძლიან ნახევარ ვანნის მიღების დროს ზედა-ტანიც გაიბანოს.

ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი ისე დაასუსტა სახადმა (тифъ), რომ არავითარი შრომა აღარ შეეძლო. რამოდენიმე ხნის განმავლობაში, იჩოქებდა წყალში ყოველ დღე, ხან ორ დღეში ერთხელ, და იდგა შიგ ჯერ თითო წამს, მერე 2 და 3-ს. დღითი-დღე ჯანი ემატებოდა და ბოლოს ისეთი ჯან-სალი შეიქმნა, როგორიც ადრე იყო.

ერთს კაცს სისხლი აუვარდებოდა ხოლმე თავში, რაიცა იყო შედეგე მუცლის ტკივილისა. ის ერთს დღეს გადაჭარბებით იბანდა ცივის წყლით ზედა-ტანს, მეორეს დღეს იჩოქებდა ვანნაში. ასე იწამლა და მალე მორჩა.

ასევე განიკურნებიან კუჭის სნეულებანი, რომელნიც წარმოსდგებიან იმისგან, რომ იქ, კუჭში, გროვდებიან გაზები. ასეთის გაზების გამოსატანად ნახევარი ვანნა მისწერება — წამალია.

III ვანნა

ჩასაჯდომი ვანა იქნება ცივი და თბილი.

1 ჩასაჯდომი ცივი ვანნა.

ჩასაჯდომი ვანნა ჰგავს კრესლას ანუ სკამს და ტფილისში ადვილად საშოვნელია. ასეთს ვანნაში ჩაასხამთ ცივს წყალს, პირამდის ნუ აავსებთ, მერე გაიხდით ტანს და ჩაჯდებით შიგ, როგორც რბილ კრესლაში, ისე, რომ ნახევარი მუცელი და მეჯები წყალმა დაჰფაროს. თუ ვანნა არა გაქვთ, შეიძლება ღრმა ტაშტი ანუ განიერი ქვაბი იხმაროთ. ვანნაში უნდა დარჩეთ ნახევარის წუთიდამ ვიდრე 3-მდე.

საჯდომი ცივი ვანნა და ნახევარი ვანნა, ერთად ხმარებულნი, შეადგენენ მშვენიერ საშუალებას მუცლის ტკივილების განსაკურნებლად. ეს ვანნები გამოჰხიდავენ მავნე გაზებს, დაეხმარებიან საჭმლის მოხარშვას კუჭში, სისხლს მისცემენ ჩვეულებრივს მსვლელობას და საზოგადოდ გაამაგრებენ სხეულს, ამიტომაც სასარგებლონი არიან მანდილოსანთათვის, როდესაც ისინი ბევრ სისხლსა ჰკარგვენ და ქალის სხვაგვარ სატკივრებში.

არავინ არ უნდა შეუშინდეს ასეთს ვანნებს, რომლებიც უნდა იხმარებოდეს 1—2 წუთამდის. უკეთუ წესიერად იხმარეთ ვანნები, ვნება აქედამ არა წარმოსდგება-რა.

ვისაც უნდა, რომ არ გაცივდეს ხოლმე, გაირკინავოს სხეული და უგრძნობელ ჰყოს სიცხე-სიცივისაგან, რასაც დიდი გავლენა აქვს კაცის ჯან-მრთელობაზედ, მან ხშირად უნდა მიიღოს ჩასაჯდომი ვანნა, — კარგია მეტადრე ღამე. ღამე რომელსამე საათზედ რომ გამოიღვიძებთ, მსწრაფლ ჩაჯექით ვანნაში და შემდეგ მალევე, ტანის შეუშრობლად, ჩაწექით კვლავ ლოგინში. უნდა ისიც ითქვას, რომ ძალიან ხშირადაც არ ვარგა ჩასაჯდომი ვანნების ხმარება. კმარა 2—3-ჯერ კვირაში; თორემ ერთობ ბლომად მოაწვება სისხლი შუა ტანს რაიცა გაამწვავებს ბუასილს.

ვისაც ძილი გამკრთალი აქვს, ვინც ღამე ხშირად იღვიძებს და ვეღარ იძინებს, მათ ძალიან არგებთ ჩასაჯდომი ვანნები. 1—2 მინუტს ვანნაში ყოფნა დაამშვიდებს კაცს და ძილს მოჰგვრის.

ერთი ავადმყოფი დიდის ხნის განმავლობაში ღამეში 1—2 საათზედ მომატებულს ვერ იძინებდა. კოტრიალებდა მთელი ღამე ლოგინში და ძილი-კი არსად იყო. კნეიპპის რჩევით იწყო ჩასაჯდომი ვანნების მიღება და მალე ტკბილი ძილი გაჩნდა.

ვინც დილით მოქანცული ადგება ხოლმე და დაღლილობას ჰგრძნობს, თითქმის უარესს, ვიდრე დაწოლის

თავიდგან ატილებული გვქონებოდა. ეხლა-კი არაფრის გაკეთება არ შეიძლება, რადგან, როგორც პოლონეთის, ისე რუსეთის გაზეთებიც სულ ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში არიან, და ამ უკანასკნელს საქმეში „Моск. Вѣд.“-სა და „Нов. Вр“.-ის ხომ ვერავინ აჯობებსო“.

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** როგორც ლონდონის გაზეთები იუწყებიან, იაპონია თანახმაა შეამსუბუქოს მშვიდობიანობის პირობანი, მაგრამ ამასთანავე თხოულობს, რომ ჩინეთმა სცნოს და საგერი კავშირი იქონიოს იაპონიასთან, რათა შემდეგში არავითარი მონაწილეობა აღარა ჰქონდეთ უცხო ქვეყნებს სახელმწიფოთ შორეულ აღმოსავლეთის საქმეებში. გარდა ამისა იაპონიას ჰსურს, რომ ჩინელებმა თავისს მიწაწყალში თავისუფალ ვაჭრობის ნება მისცენ იაპონელებსა.

—

ლონდონის გაზეთი „Standard“-ი იუწყება, რომ ინგლისისა, რუსეთსაფრანგეთისა და ოსმალეთის მთავრობათა შორის უკვე მოხდა მორიგება ევროპიელ დელეგატების შესახებ, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სომეხთა საქმეების გამომძიებელ კომისიაში. როგორც ამბობენ, დელეგატებად იქმნებიან: რუსეთის შტაბ-ოფიცერი, ინგლისის ვიცე-კონსული ჩაპლეი და სტამბოლში მყოფი საფრანგეთის საელჩოს თარჯიმანი ვიბერი. ამ დელეგატებს ნება ეძლევათ, პირადად გამოჰკითხონ ხოლმე მოწმებს, ხ კომისიის ყოველი ოქმი თავისის ხელმოწერით შეამოწმონ. ამ კომისიის გარდაწყვეტილება თითოეულმა დელეგატმა თავისს მთავრობას კერძო მოხსენებით უნდა აცნობოს. კომისიამ მარტო სასსუნის ოლქში უნდა იმოქმედოს, სადაც ერზერუმიდგან ამ ორის კვირის შემდეგ წავა.

—

**საფრანგეთი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალ-ადიუტანტის ჩერტკოვის პატივის საცემლად სადღესასწაულო სადილი გაჰმართა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ რუსეთის საელჩოს წევრები, ადმირალი ჟერვე, გენერლები ბუადეფრი, ფევრიე და მინისტრები. პრეზიდენტმა შემდეგი სადღეგრძელო, დალია, რომელიც ყველამ ფეხზედ დგომით მოისმინა: „ვსვამ სადღეგრძელოს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ II-სას, მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის იმპერატრიცასას და მთელის სამეფო გვარეულობისასაო!“ მუსიკამ რუსეთის საერო საგალობელი დაუკრა. გენერალმა ჩერტკოვმა აიღო ჰიქა და სთქვა: „ვსვამ რესპუბლიკის პრეზიდენტის სადღეგრძელოს და ალვმართავ ჰიქას ქ ნ პერიეს პატივ-საცემლადაო.“ მუსიკამ მარსელიეზა დაუკრა.

## სასამართლოს მატიანე

შეუბრალებელი დედ მამანი

—

12 დეკემბერს პეტერბურგის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ცოლქმართა ვასილ და მატრონა პისკუნოვებისა, რომელთაც შემდეგი საქმე ჰბრალდებოდათ: 13 მარტს ამა მიმდინარე წლისას, სამსახურიდგან გადამდგარის უნტერ-ოფიცერის ზუევის ცოლმა ადგილობრივ პოლიციის განყოფილებაში გამოაცხადა, რომ ჩემის ფანჯარის წინ ვიპოვე პატარა გოგო, ასე 9—10 წლისა, რომელმაც სთქვა, რომ ანტონინა პისკუნოვის ასული ვარო. ფეხზედ დახეული წაღები ეცვა და შემომჩივლა, რომ, რადგანაც დედმამა სასტიკად მექცეოდა გამოვექეციო. ქალი რომ 10 მარტს გამოქცეულა, ღამე ვიღაცას კიბეზედ გაუტარებია და მეორე დღეს დასასვენებლად ზუევის ფანჯარასთან ჩამომჯდარ, ქალს ცხვირი გატეხილი ჰქონდა და ფეხები დალურჯებულიო.

ზუევისამ დროებით შეიფარა თურმე გამოქცეული ქალი, მაგრამ ისე ყოფილა ეს ბავშვი დაშინებული, რომ, როდესაც ზუევასთან მისულიყო ქალის მამა ვასილ პისკუნოვი, ქალი სახლიდგან გამოვარდნილიყო და სადღაც მიმალულიყო. შემდეგ ორანიენბაუმის ტყეში იპოვეს. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ პისკუნოვების ვაჟიც გაქცეულიყო სახლიდგან.

როდესაც პოლიციამ გამოკითხვა დაუწყო, ბავშვებმა უთხრეს, რომ გაგვატიტვლებდნენ ხოლმე და ისე გვცემდნენო, ხოლო მეზობლებმა აჩვენეს, რომ ბავშვებს რაც ხელში მოხვდებოდათ, იმითი სცემდნენო: ჯოხით, თოკით, ქამრით, წკეპლით და სხვ. როდესაც ექიმი სინჯავდა პატარა ქალს, სახეზედ ჭრილობა შენიშნა. ქალმა უთხრა, რომ ეს ჭრილობა ჩემის მიზეზით მომივიდა, როდესაც გასაქცევად ფანჯრიდგან გადახტომას ვაპირებდიო. არა ადამიანურის მოპყრობით ბავშვები დაავადებულნი და შეშინებულნი იყვნენ. მეზობლებივე ამტკიცებენ, რომ დედმამანი ბავშვებს დღეში რამდენჯერმე სცემდნენ თურმე. ერთმა მეზობელთაგანმა პოლიციელიც მოიწვია, მაგრამ დედმამას ცემა მაინც ვერ დააშლევინა. ბოლოს ბავშვების საცოდაობით დამწვარნი მეზობლები, იძულებულნი იყვნენ სხვა სახლში გადასულიყვნენ.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ცოლქმართ პისკუნოვებს მწვალებლობა მიეღოთ, შვილები-კი ისევ მართმადიდებლებად დარჩენილიყვნენ, და როდესაც ბავშვები ხატებზედ დაიწყებდნენ ხოლმე ლოცვას, მამა მივარდებოდა და უმოწყალოდ სცემდა. როცა მოსამართლეებმა ჰკითხეს, რადა სცემდით შვილებსაო ვ. პისკუნოვმა უპასუხა: ჩემის შვილების უდიერობისათვის პასუხს ღმერთს ვაგებ და არა ხალხსაო. ხოლო პისკუნოვისამ უპასუხა: ჩვენს შვილებს როგორც გვინდა, ისე მოვექცევით, რადგანაც „ჩვენივე ხორცნი არიანო“

სასამართლომ პისკუნოვისა გაამართლა, ხოლო თვით ქმარს, პისკუნოვს, მიუსაჯა ყოველ გვარის ღირსების ჩამორთმევა და ზნეობის გამასწორებელ პატიმართა ჯარში ერთის წლითა და რვა თვით ყოფნა.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით დავკითხო „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას შემდეგს:

საზოგადოების უკანასკნელს ანგარიშში მოხსენებულია, რომ გამგეობამ შესაძლოდ სცნო სალიტერატურო თანხიდამ სხვა და სხვათათვის მიეცა სესხად ზოგისთვის ათი, ზოგისათვის ხუთი თუმანი და სხ. „ბ-ნი ხოშტარიამ და ნადირაძემ ხსენებული ფული მიიღეს კიდეც, ხოლო ბ-ნს თვალჭრელიძეს კი არ მიუღია ფული, თუმცა მისთვის სესხად გადაწყვეტილი მიიღო მისთვის გადასაცემად ბ. გრ. აბაშიძემ. გამგეობას ამის შესახებ აქვს მიწერ-მოწერა ბ-ნს აბაშიძესთან“. რადგანაც სალიტერატურო თანხის დაარსება არის ახალი საქმე და მასთან საქმე ფრიად საყურადღებო, მკირფასი და სრულის თანაგრძნობის ღირსი, რომელსაც ყოველი საქმის გულშემატკივარი ქართველი შეჰხარის; და რადგანაც, მაშასადამე, ყოველივე საქმე და წესი ამ თანხის შესახებ მტკიცე და აშკარა ნიადაგზედ უნდა იდგეს, უმორჩილესად ვსთხოვ ხსენებულს გამგეობას რომელისამე გაზეთის საშუალებით აცნობოს ქართველს საზოგადოებას სვე ამა საქმისა; ე, ი.: გათავდა თუ არა მიწერ-მოწერა? თუ გათავდა — რითა? და დაუბრუნდა თუ არა ხსენებული ათი თუმანი გამგეობას? შეიძლება, რომ ეს გარემოება და კითხვები მომავალ საზოგადო კრებაზედ აიხსნას, მაგრამ, რადგანაც ყველა ჩვენთაგანი და უმთავრესი ნაწილი, საგულისხმოა, ვერ დაესწრება, ამისათვის ამ პასუხს გამგეობისას უშჩვლად ველით.

ერთი დამფუძნებელთაგანი.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ გარდაიცვალა უმთავრესი საინჟინერო მმართველობის უფროსი გენერალი ზაბოტკინი.

21 დეკემბერი

**ვენა.** „Politische Correspondens“-ი იუწყება, რომ პაპმა დიპლომატიის საშუალებით განაცხადა წინააღმდეგობა საეკლესიო საპოლიტიკო კანონთა მოქმედებაში მოყვანის შესახებ.

**პარიზი.** „Figaro“ იუწყება, რომ ყელჭირვების შრატის დარიგება მთელს საფრანგეთში დღეიდგან დაიწყება. გენერალმა ჩერტკოვმა ამ საქმისათვის „Figaro“-ში 1000 მან. გამოგზავნა.

პეტერბურგის ბირჟა, 20 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 7,42 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 148½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 240¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193¾ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 99½ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97¾ | — ,, | — ,, |

წინ ჰგრძნობდა, მას კნეიპპი ბეჯითად ურჩევს ასეთს ვანნებს.

ყოველ ჯან-საღ გვამთ ერთხელ კიდევ სულით და გულით ვურჩევ ამ საშუალებასაო, ამბობს მამა სებასტიანე.

2. ჩასაჯდომი თბილი ვანნა.

კნეიპპი მის დღეში არ ამზადებს თბილ ვანნას მარტო წყლისას. თბილი ვანნები მზადდება:

ა) ჯორის-ძუას (полевой хвощъ) ნახარშით,

ბ) შვრივის ნამჯის ნახარშით,

გ) თივის ნაფშვნეტის ნახარშით.

სამნაირივე ვანნა ერთის წესით მზადდება. ჩაჰყრით ქილაში ან ჯორის-ძუას, ან შვრივის ნამჯას, ანუ თივის ნაფშვნეტს, აავსებთ ადუღებულის წყლით და ცოტა ხანს ცეცხლზედ შესდგამთ. მერე გადმოიღებთ და გაანელებთ, ესე 24—26 გრადუსამდე (ზოგჯერ 30°-მდე) და ჩაასხამთ ჩასაჯდომ ვანნაში. ისეთს ვანნაში შეგიძლიანთ ბძანდებოდეთ 15 წუთს. ნახარშს ნუკი გადაჰღვრით, არამედ ორჯერ კიდევ იხმარეთ. ისე, რომ მეორესა და პირველ ვანნას შუა გავიდეს 3—4 საათი და მესამესა და მეორეს შუა ერთი საათი. ნახარშს კვლავ გათბობა აღარ უნდა. იგი ცივი იქნება, ამიტომ მეორე და მესამე ხმარებაში 1—2 წამს არ უნდა გადააცილოს. ასეთს თბილ ნახარშიან ვანნებს ურჩევს კნეიპპი კვირაში 2—3-ჯერ; ისიც მაშინ, როდესაც შიგ-და-შიგ ცივ ვანნებსაც იხმართ; მეტადრე მაშინ, როდესაც გნებავთ მოარჩინოთ მავრა გამჯდარი სხეულში სატკივარი, მაგალითებრ: დიდის ხნის ბუასილი, ქვედა ტანის ტკივილი, ნაწლევების ტკივილი და სხვა ამ გვარი სატკივრები.

ფუშიანებს (грыжа) არას დაუშლის ასეთი ვანნები, ამისათვის ნუ მოერიდებიან.

ა) ჩასაჯდომი ვანნა, ჯორის-ძუას ნახარშით მომზადებული, იხმარების განსაკუთრებით შემდეგის სნეულებისთვის: თირკმელების რევმატიზმი, დახუთულობა, რევმატიზმი შარდის ბუშტისა, შარდის შეკვრა, თირკმელების ტეხა, შირიმის სენი (каменная болѣзнь)

ბ) ჩასაჯდომი ვანნა, შვრივის ნამჯის ნახარშით მომზადებული, მშვენიერია იმ შემთხვევაში, როდესაც ძვლების ტეხა აქვს კაცს.

გ) ჩასაჯდომი ვანნა თივის ნახარშით კარგია, როდესაც ზემოდ აღნიშნული ბალახეულობა არ მოგეძებნებათ. ამასაც იგივე გავლენა აქვს, ხოლო სუსტად და ნელა მოქმედობს. ჩემს გამოცდილებაშიო, ამბობს კნეიპპი, თივის ნახარშიან ვანნებს მშვენიერი გავლენა აღმოუჩენია, როდესაც სნეულთ სისხლი ჰქონიათ შემდგარი მუცელში, სიმსივნესა და მუწუკებზედ, სხეულის სისუსტეზედ, რომელიც წარმომდგარა კორსეტებისა და ღვედების ხმარებით, კუჭის მოშლაზედ, ბუასილზედ, დახუთულებზედ, გაზებისაგან წარმომდგარ მუცლის ტკივილზედ, მჭვალზედ და სხვა.

პაპა


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა — ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, —11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანცეუსი, 7—7½ საათსნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

წერა-კითხვის გამავრცელებელის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

# ჩართული ანბანი

შედგენილი

გრ. ცაცაშვილის მიერ

ამ ანბანში მოქცეულია წყვილწყვილად ერთმანეთში ხელოვნურად და შნოიანად ჩართული ასოები, რომლებიც სახელისა და გვარის აღსანიშნავად შეიძლება ამოიჭრას ყოველნაირს ლითონის ნივთზედ (ოქროსა, ვერცხლსა, თითბერზედ და სხვ.) და ამოიკეროს.

# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმედაშვილთან.